

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 ტ 599737755

N 26

20/01/2016

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს


ბატონ გიორგი ხელაძეს

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ“ განკარგულების პროექტს განსახილველად.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი



კომისიის თავმჯდომარე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2016 წლის იანვარი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების
ჩატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 139-ე მუხლის „ბ“ პუნქტისა და 140-ე მუხლის მე-2 ნაწილის, შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების მიზნით მოწვეულ იქნას აუდიტორი. შემოწმების პერიოდი განისაზღვროს 2015 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის 01 იანვრამდე.

მუხლი 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა უზრუნველყოს აუდიტორის მოწვევასთან დაკავშირებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით შესყიდვის პროცედურების განხორციელება.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ხელაძე

ბატონო გიორგი,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 140-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გთხოვთ უახლოეს საკრებულოს სხდომაზე მოხდეს აუდიტორის მოწვევის საკითხის განხილვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საქმიანობის აუდიტორული შემოწმების მიზნით.

პატივისცემით,

საკრებულოს წევრები:

ალექსანდრე სარიშვილი

რომან ბიწაძე

გიორგი ჩახვაძე

ემზარ თევდორაძე

ჯუმბერ ბლაგიძე

კახა ურუშაძე

კახაბერ გუჯაბიძე

გოგი მორჩილაძე

ია ჩხაიძე

ბესიკ ტაბიძე

გურამ კერესელიძე

ერვოტა ჩხაიძე

ნდერსახე

მახათაძე